№ 203. შაბათი, 20 მაისი. 1896–1897 შაბათი, 20 მაისი № 203.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართეენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ლატარია-ალეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნულია 25 მაისს, მუშტაიდის ბაღში.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას (ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21) და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.

„შუამავალი“

ალებ-მიცემის მაღაზიამ მიიღო ახლად: ყველი „ბრუსო“ კობიდგან და აგრეთვე ჩაი ვისოცკისა და გოცისა, გამოწერილი მოსკოვიდგან.

კუთხე ბარონისა და ბაზრის ქუჩისა, სახლი თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონიშვილისა, № 6/1.

(5—3).

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით.
ბათომში მოდის—ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
ფოთიდან გადის—სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ოდესაში მოდის—კვირაობით და სამშაბათობით.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.

ВЫСОЧ. УТВЕР. О-ово АЗОВСК. ПАРОХОДСТВА

Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.

Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—А. Д. Гугушвили.

(50—22)

„ალმოსავლეთის მაღაზია“
ძმათა მერკვილაძეთა

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სემინარიის პირდაპირ.

ისყიდება ნამდვილი ჩინეთის

ჩესუნჩა და ფანზა

იაპონიის აბრეშუმეულობა, ქართული დარაიები, შალეულობა და სხვა ნივთები.

მაღაზიას აქვს საუკეთესო სამკერვალო ჩვენებურ ტანისამოსისა.

(15—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია.

(წ.)

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.
„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.
18 მაისი

პეტერბურგი. 17 მაისს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოეს ქალიშვილითურთ გადავიდნენ საცხოვრებლად ცარსკოესელოდგან ახალ პეტერგოფის აგარაკ „ალექსანდრია“-ში.

პეტერბურგი. იდღესასწაულეს რუსეთის შეერთებულის ცეცხლის ჩამქრობ საზოგადოების მე-5 წლის არსებობა. ლოცვის შემდეგ საპატიო წევრმა ე. ვ. ბოგდანოვიჩმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც საზოგადოებამ ყურადღება მიაქცა იმ გარემოებას, თუ რა სისწრაფით ვრცელდება ამ ბოლო დროს ცეცხლის ჩასაქრობ საშუალებათა ხმარება. ბევრს სარგებლობას მოიტანსო აგრეთვე ახლად დაარსებული საქველ-მოქმედო საზოგადოება „ცისფერი ჯვარიო“. ბოლოს წარმოსთქვა, რომ ივლისში მოძრავი ცეცხლის გამოფენა, რომელიც განსაკუთრებულ ამისთვის მოწყობილ ნავზედ იქნება გამართული, ნევიდამ ვოლგაზედ გადავაო. ნავი ყოველ ნავთ სადგურში გაჩერდება და გააცნობს ხალხს ახალ მანქანებს, რომელიც ცეცხლის წინააღმდეგ საბრძოლველად იხმარებაო.

სოფია. სოფიის და ფილიპოპოლის კომიტეტებმა დაადგინეს სრულიად თავი დაანებონ ყოველ გვარ მოქმედებას მაკედონიაში, რადგან გარემოება ხელ არ უწყობთ და ბოლგარეთის მთავრობაც წინააღმდეგი იქმნება ყოველის მათის მოქმედებისა. კომიტეტებს სურთ შეიტყონ, რა შედეგი ექმნება პორტას მიერ შემოსაღებ ცვლილებებს.

პეკინი. რუსთა ახალმა ბანკმა 27 მაისს დაიწყო მოქმედება, დაესწრნენ ელჩები საფრანგეთისა და ბელგიისა და რუსთა ახალშენი.

სტამბოლი. ოსმალეთის ოფიციალური წყაროები იუწყებიან, რომ დანაშაულებანი, რომლებსაც უმეტესად ოსმალების თავის ნებით ჯარში შესულთ აბრალებენ, ტუსაღებმა ჩაიდინესო, რომელნიც საბერძნეთის ჯარმა უკან დაწევის დროს განათავისუფლა. ამ გარემოებას იქ მყოფნი კორესპონდენტნიც ჰმოწმობენო.

სტამბოლი. პორტა სთხოვს ელჩებს, იძულებულ ჰყავით საბერძნეთის წარმომადგენელნი, რომ ოსმალეთის უმთავრესს ბინაზე მივიდნენ ზავის ვადის დეწერის გამო მოსალაპარაკებლადაო.

ბუქარესტი. მემკვიდრე პრინცი ძალიან ავად არის, მაგრამ მორჩენის იმედი მაინც აქვთ.

პარიზი. თავისს საპასუხო ნოტაში პორტა მხოლოდ დიდთა სახელმწიფოთა სამახსოვრო ბარათს შეეხება. ნოტა დიდად სამშვიდობო კილოთია დაწერილი.

რომი. აჩიარიტოს საქმე. ნაფიც ვექილთ დამნაშავედ სცნეს აჩიარიტო. სასამართლომ გადაუწყვიტა სამუდამო კატორგა და სხვა სასჯელი. ბრალდებული ურცხვად იქცეოდა.

რომი. 16 მაისს, საღამოს, პალიაშიაში, საშინელი მიწის ძვრა იყო. მიწის ძვრა მოხდა აგრეთვე ბარსა, ტიროლსა, ოპპიდოსა, მაშერტიპსა, რეჯიოსა, დი-კალაბრიასა, მესინასა, მინეოსა, პორტისა, ისიკიასა, რომსა და სიენში.

ახალი ამბავი

⁂ სათავად-აზნაურო ბანკის წლიური კრება. დღეს, თორმეტ საათზედ დაიწყება ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა წლიური კრება, რომელმაც უნდა განიხილოს სხვათა მრავალთა საკითხთა შორის აგრეთვე ის გამწვავებული სატკივარი, რომელიც აგერ ათი წელიწადია, რაც ნელნელა ღრღნის ძირს უთხრის ბანკის დღეგრძელობას. საქმე ის არის, რომ ქალაქში ჭორი დაგდეს, ვითომც სამინისტროსაგან ცნობა არის მოსული, რომ შარშანდელი არჩევანებით (მეორე, რადგან პირველი უკანონო იყო) და კრების დადგენილებანი გაუქმებულ იქმნას. ჩვენ მაშინათვე აღვნიშნეთ ასეთი ხმების უსაფუძვლობა და დღეს ამაში უფრო დავრწმუნდით, რადგან სარწმუნო წყაროებიდამ შევიტყეთ, რომ პეტერბურგში აზრადაც არ მოსვლიათ მეორე კრების დადგენილებათა გაუქმება. ყველა მითქმა მოთქმა და დეპეშები, ჩვეულებრივ, ტყუილი გამოდგა.

ასეა თუ ისე, წრევანდელს კრებას ჰმართებს დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა, სიდინჯე და სიმართლე, რათა ამით ბანკის საქმე მტრის გულისა არ გახდეს და შევიწროებულ არ იქმნას მისი წარმოების სარბიელი, რომელსაც, როგორც ზოგიერთ ნიშნებიდან ეტყობა, შეზღუდვას უპირებენ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ქართველი საზოგადოება შესაფერს სიფხიზლეს გამოიჩენს, გაითვალისწინებს ყოველსავე მოსალოდნელ ავ-კარგიანობას და ისე განსჯის და განასამართლებს მრავალ საჭირ-ბოროტო საკითხებს.

⁂ ქალაქის არჩევანები. გუშინწინდელმა არჩევანებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება აკუთვნა სომხებს: არჩეულ იქმნა 56 ხმოსანი, მათ შორის 7 რუსი 6 ქართველი, 3 გერმანელი და 1 პოლონელი, ე. ი. 38 სომეხი და 17 სხვა და სხვა ტომის ხალხი. საყურადღებო ის არის, რომ ისეთი პირები გაამწესეს, რომელნიც თვითონ სომხების სიაში იყვნენ მოთავსებულნი. ქართველები სულ ერთიანად

გააშავეს გარდა უგანათლებულესის თავ. გრუზინსკებისა, თავ. ორბელიანებისა, თავ. მელქიშვილისა და ჩოლოყაშვილისა. გააშავეს აგრეთვე სომხების დიდი მეგობარი და მათი ავან-ჩავანი გ. ე. წერეთელი? ვერაფერმა უშველა-რა გ. წერეთელს, მაინც შავს ბაჩაზე გაარონინეს... ვნახოთ მეორე არჩევანებზე რა იქმნება, რადგან კიდევ საჭიროა, რომ არჩეულ იქმნას 25 ხმოსანი და 16 კანდიდატი.

⁂ **მთავარ-მართებლისაგან ჯარის დათვალიერება.** გუშინ, 19 მაისს, კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა ვერის მინდორზე დაათვალიერა თბილისის გარნიზონის ჯარი.

⁂ **თიანეთის გზაზედ მზრუნველობა.** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა თხოვნით მიჰმართა ტფილისის გუბერნატორს, რათა შემწეობა აღმოუჩინოს თიონეთის გზის სადგურებს: გლდანისის, ცხვარისჭალის და საბადურის გასაუმჯობესებლად და სისრულეში მოყვანისათვის.

⁂ **კარგარეთელის კონცერტი.** ჩვენი ახალგაზდა მომღერალ ი. კარგარეთელის კონცერტი, რომელიც 21 მაისს უნდა ყოფილიყო, 24 მაისისათვის გადაიდო.

⁂ **სტეფანოვის წერილი.** აი რას სწერს სტეფანოვი გაზეთ „ივერიის“ საპასუხოთ „ნოვ. ობ.“: დღეს გავიგე თქვენის გაზეთიდგანაო, რომ „ივერიამ“ ბოლოს, როგორც იყო, დაასრულა გაუთავებელი სტატია შაუმოვის სელდებსა და არუთინოვის ტრიხინაზედაო. მე ყოველთვის არა მაქვს დრო და მოცალება ვუპასუხო ასეთს წერილებზედ. მაგრამ ეხლა-კი, როდესაც ჩემს პიროვნობას და იმ საქმეს, რის იაკშიაც ვსდგევარ, შეეხო გაზეთი „ივერია“, რომლის მეთაურიც პატივცემული და საზოგადოებაში სახელ მოხვეჭილია და რომელიც აჰყვა და გზა ვერ აუქცია თანამედროვე საკითხავს,—არ შემიძლიან არ ვუპასუხოო. ჩემს პასუხს ამ დღეებში გავგზავნი «ივერიის» რედაქციაში და, იმედია, ადგილს დაუთმობენ და გაზ. „კავკაზი“-ც, რასაკვირველია, გადასთარგმნის.

ვნახოთ ერთი, რა პასუხს გასცემს ბ. სტეფანოვი და რითი გაიმართლებს თავს.

⁂ **ქ. გორი.** **აქაური ახალი ამბები.** ჯერ ამას წინეც მის ყოვლად უსამღვდელოესობის მობრძანებამ ქ. გორი თითქმის გამოიღვიძა და დააფაცურა ქალაქის თვით-მმართველობა. მართლაც, ამ ხუთი დღის წინეთ არქიელმა არ მოისურვა ქ. გორში ჩამოხტომა და მატარებლით მხოლოდ აიარა ს. ქარელში. რკინის გზის სადგურზედ მისს ყოვლად უსამღვდელოესობას მიეგებნენ ქ. გორის სამღვდელოება, მაზრის უფროსი თვისის თანაშემწეებითურთ, სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელნი და მრავალნი სხვანი, რომელთაც მიიღეს ლოცვა-კურთხევა მათის მეუფებისა. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი დაიძრა. მათი უსამღვდელოესობა ფანჯარაში იდგა და იქ მდგომ ქუდ-მოხდილთ ხალხს პირ ჯვარს სწერდა. მათ მეუფებას თან იახლა მაზრის უფროსის თანაშემწე თავადი გ. ლ. ჯანდიერი.

სულ არ გასულა მას შემდეგ ერთი დღე, რომ ქალაქში გავრცელდა მეორე სასიამოვნო ხმა: „მთავარ-მართებელი კავკასიისა თავ. გ. ს. გოლიცინი მობრძანდებაო“. ამ ხმამ დიდი მოძრაობა ჩააგდო ხალხში და ქალაქი გულ-მოდგინედ ემზადებოდა ისე დაჰხვედროდა, როგორც მათს ბრწყინვალებას შეჰფეროდა. ყველგან დაუწყეს ქუჩებს გვა და სადაც გაფუჭებული იყო, იქ ქვიშის ყრა. სწორედ კარგს დროს შეჰხვდა მათის ბრწყინვალების მობრძანება ქ. გორში. 14 მაისს, ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინების დღეს, გათენდა ეს ყველასათვის სანატრელი დღე და მთელი ქალაქი, ჩვეულებისამებრ გვიან გაღვიძებული, ეხლა ადრე აიშალა. მთელი ქალაქი უცბათ მოირთო წითელ-ყვითელის ბაირაღებით და სამგან თუ ოთხგან გამოჰკიდეს ტილოზედ დახატული გვირგვინი; ერთის სიტყვით, იტყოდით საქორწინოდ ემზადება ქალ. გორიო. და ტყუილიც არ იყო ასეთი მომზადება. ერთის მხრით ხელმწიფე იმპერატორის დაგვირგვინების დღე იყო და მეორეც—უნდა მობრძანებულიყო კავკასიის მთავარ-მართაბელი თავადი გ. ს. გოლიცინი. გორის ახლად გაკეთებული ხიდი მორთული იყო ბაირაღებით და ხის ტოტებით; დაგრეხილი იყო ბალახის თოკები და გაყოლებული იყო ხიდის მოაჯირზე. თვით ბუნებაც, თითქოს ესმის ხალხის მხიარულებაო, არ იყო მოწყენილი და შუბლ-შეკრული, იგიც იცინოდა და გორელებთან ერთად ხარობდა. დილის ცხრა საათიდგან ხალხმა, რომელიც ათას ფერად აყვავებულიყო და აჭრელებულიყო, დაიწყო სვლა პირდაპირ რკინის გზის სადგურისაკენ, რაც შეიძლება კარგი ადგილი დაეჭირო, რომ კარგათ დაენახო მოსალოდნელი სტუმარიო. მოაწია მატარებლის მოსვლის დრომაც და ყველანი მოუთმენლად ელოდნენ, აი ან ეხლა გამოჩნდება მატარებელი და ან ეხლაო. გამოჩნდა კიდეც მატარებელი, გაჩერდა სადგურთან და ყველას თვალნი ეცნენ იმ კარებისკენ, რომლიდგანაც უნდა გამობრძანებულიყო მათი ბრწყინვალება. გამობრძანდა თავადი თავისის მეუღლითურთ, ყველას უღიმოდა და ყველას თავის დაკვრაზედ მათი ბრწყინვალება სალამს აძლევდა. უეცრივ, სად იყო სად არა, ხალხიდგან გამოვიდა ერთი დედაკაცი, დაეცა მუხლებზედ და თხოვნა მიართვა მათს ბრწყინვალებას. მათ ბრწყინვალებას თან ახლდნენ საქართველოს კორპუსის კამანდირი თავ. ი. გ. ამილახვარი, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, თბილისის გუბერნიის მმართველი სტეფანოვიჩი და სხვანი წარჩინებულნი პირნი. რკინის გზის სადგურზედ დახვდნენ გორის მაზრის უფროსი თავ. რ. შ. ერისთავი, კავკასიის 2 თოფის მსროლელ დრუჟინის კომანდირი სარაჯოვი, გორის სამხედრო მაზრის (?) უფროსი შუბერსკი და სხვანი. მათი ბრწყინვალება ჩაბრძანდა ეტლში და გაემგზავრა ქალაქისკენ. ხიდს იქით მოედანზედ დაჰხვდა აუარებელი ხალხი, გორის სამღვდელოება, გორის სამოსწავლო სემინარიის შეგირდები მუსიკით, სამოქალაქოსიც მუსიკით და გორის ქალთა პროგიმნაზიის მოსწავლეებიც. იქვე იყვნენ, რასაკვირველია, ყვე ამქრები თავისის ბაირაღებით. მ დანზედ გარდახდილ იქმნა პარაკ სი, რომელზედაც გალობდა სამ წავლო სემინარიის, სამოქალა სასწავლებლის და ქალთა პროგი ზიის ხორონი ერთად შეერთებუ ბ. გოგლიჩიძის ლოტბარობით. პა კლისის შემდეგ წარმოთქმულ იქ მრავალ-ჟამიერი სამეფო სახლეუ ბის სადღეგრძელოთ. მათი ბრწყ ვალება თავისის სვიტით, სამღვ ლოება და მგალობელთა გუნ „აცხოვნე უფალო ერი შენი“-ს გა ლობით გაემართნენ ხიდისკენ; ხიდ აქეთ ნაპირას იყო გაბმული წმ ანნას ლენტი, რომელიც მათ ბრწყინვალებამ გასჭრა და ბრძა „ვხსნი მიმოსვლას ხიდზედ სასი თოდ მცხოვრებთა“ და შემდეგ აკუ თხეს ხიდი, ასხურეს აიაზმის წყ და მოექცნენ ისევ მოედნისაკენ, ს დაც მათი ბრწყინვალება სომხ სკოლის მოწაფეთ მიესალმა სომხ ენაზედ. მერმე მათი ბრწყინვალ ჩაბრძანდა ეტლში და წამობრძან დიდს ქუჩისაკენ, რომლის მთე სიგრძეზედ ჩაყოლებული იყვნ მთელი გორის ჯარები მუსიკებ მთავარ-მართებელი ყველა ჯარს ესალმა. მათი ბრწყინვალება გამ ლაში მეუღლითურთ შებრძანდა დათა პროგიმნაზიაში და დათვა ერა იგი, რის შემდეგაც მათი ბრწ ნვალება რამოდენისამე ხნობით მოხტა თავ. ი. გ. ამილახვრის სახ ში. ერთის საათის შემდეგ მთა მართებელმა ინება დაეთვალიერე მდ. ლიახვის და ფშანის ნაპირ იქიდგან იგინი წაბრძანდნენ სამა საპყრობილეში, საიდგანაც გაემგ რნენ სამოსწავლო სემინარიისა

სახალხო ჰიგიენა.

100 წელიწადი ყვავილის აცრის მოგონების შემდეგ.

22 დეკემბერს, 1896 წელს, რუსეთის ხალხთა ჯანმრთელობის დამცველმა საზოგადოებამ იდღესასწაულა ხსენება კაცობრიობის დიდებულის კეთილის მყოფელის ედუარდ ჯენნერისა.

ედუარდ ჯენნერმა მოიგონა ყვავილის აცრა, და ამით დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას, რომლისაგანაც იმან სამარადისო მადლობა დაიმსახურა.

ჯერ ასი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და თანამედროვე თაობა, რომელიც კარგად ვერ იცნობს სამკურნალო მეცნიერების ისტორიას, ადვილად ვერ დააფასებს ჯენნერის დიდებულს ღვაწლს კაცობრიობისადმი.

ეხლა, როდესაც ყველა განათლებულმა ქვეყნებმა იდღესასწაულეს ასის წლის შესრულება პირველ აცრის დღიდან, საჭიროდ მივვაჩნია მოვიყვანოთ მოკლე ისტორია ამ საშიშის სენისა და იმ ზომებისა, რომლითაც ჯენნერამდე ებრძოდნენ მას.

* *

გარდაწყვეტით არ ითქმის, თუ როდის გამოჩნდა პირველად ყვავილი. როგორც ბევრნი გამომკვლევნი ჰფიქრობენ, ეს ავადმყოფობა ისეთივე ძველია, როგორც ქვეყანა და მისი დასაწყისი დროთა წყვდიადში დაკარგული. ზოგნი-კი ამბობენ, რომ ყვავილი პირველად ჩინეთში იყო და 1500 წ. ქრის. დაბადებამდის, იქიდან ინდოეთში გადავიდაო. უფრო დასაჯერებელი-კი ის უნდა იყოს, რომ ყვავილი ყველაზე ადრე აფრიკასა და ევროპაში იყო და აქედან გავრცელდა არაბეთსა, ინდოეთსა და ჩინეთში.

ევროპაში ყვავილის გამოჩენის შესახებ ნამდვილი ცნობები არა გვაქვს. ზოგნი ჰფიქრობენ, რომ მხოლოდ მეექვსე საუკ. გაჩნდა ის ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზეო. მეორე საუკუნის დამლევიდან მეექვსე საუკუნის შუამდის ძალიან ნაკლები ცნობები გვაქვს ყვავილის მოდების შესახებ. მე VI საუკ. სასულიერო მწერლებს აღნიშნული აქვთ მათ დროს მოფარფაშე სენი, მაგრამ ისე მკრთალად-კი, რომ ძნელი გასაგებია, რომელ სნეულებაზეა ლაპარაკი. მე VI საუკ. ყვავილი გალლიაში და ბურგუნდიაში იყო. ბიზანტიაში იუსტინიანეს დროს იყო ყვავილი საშინლად მოდებული. მაჰმადის დაბადების დროს ყვავილი ანადგურებდა არაბეთს და მეშვიდე საუკ. გადავიდა სიცილიაში, საფრანგეთში და ესპანიაში. ჯვაროსანთა ომების წყალობით ეს სენი ეროპაში გავრცელდა, და საზოგადოდ საშუალო საუკუნოებში იგი მთელ ქვეყნებს ანადგურებდა.

ევროპიელებიდგან ამერიკაში მოედო ეს საშინელი სენი. ერთი სიტყვით, არ არის ისეთი მხარე არც ისეთი ქალაქი, რომელსაც დიდი ხარკი არ ეძლიოს ყვავილისათვის.

თუ ყვავილის დასაწყისი დიდი ხნის წარსულშია გადაკარგული, მასთან საბრძოლველი ცდაც უძველეს დროებს ეკუთვნის. ავადმყოფობა ისე გამანადგურებლად მოქმედობდა, ისე სწრაფად ვრცელდებოდა, იმდენი მსხვერპლი მიჰქონდა და ცოცხლად დარჩენილებს ისე ამახინჯებდა, რომ საკვირველი არ არის, თუ ყვავილის დასაწყისსათანავე ყოველ ღონის ძიებას ხმარობდნენ მის შესამუსრად.

დიდი ხანია, რაც ექიმებმა და ხალხმაც შეამჩნიეს ისეთი ფაქტი, რომელიც ჯერ კიდევ მეცნიერებას კარგათ ვერ აუხსნია, რომ ყვავილის ერთხელ მოხდილი, მეორედ აღარ გახდება ავად მითი. ამ დაკვირვებაზე დამოკიდებულნი, ისინი შეუდგნენ იმის მოფიქრებას, შეიძლება თუ არა, რომ ნებაყოფლობით გადავადოთ კაცს ბუნებითი ყვავილი, რომელიც მსუბუქად იჩენს ხოლმე თავს, და მით გიდავარჩინოთ იგი მძიმე ავადმყოფობისაგან, ამგვარათ ყვავილის მოდებაც შევასუსტოთო.

ყვავილი პირველად აღმოსავლეთში გაჩნდა და ამიტომ ნებაყოფლობით გადადების საშუალებანიც აღმოსავლეთში იწყებიან. როგორც ყველგან, საზოგადოდ მკურნალობა სამღვდელოების ხელში იყო, აგრეთვე ჩვენ ვხედავთ, რომ ყვავილის მკურნალობის საქმეც პირველად სარწმუნოებრივი ხასიათის იყო. ჩინეთში აშენებულნი იყვნენ ტაძრები „ყვავილის წმ. დედის“ სახელზე, ინდოეთში პირველად ქურუმები ემსახურებოდნენ ამ საქმეს. საშუალებანი ყვავილის ნებაყოფლობითი გადადების შესახებ სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა სახისანი იყვნენ. აღმოსავლეთის ბევრ ქვეყნებში ქალები ასრულებდნენ ამ საქმეს.

აღმოსავლეთში ძალიან ყურადღებას აქცევდნენ ქალების სილამაზეს და ეს გარემოება ხელს უწყობდა ნებაყოფლობითი ყვავილის გადადების განვითარებას, მრავალი მოხუცი ქალები განგებ ამ საქმეს სწირავდნენ თავს. მოხუცი ჩერქეზთა ქალები, იმ აზრით, რომ ახალგაზდა ქალების სილამაზე დაცული ყოფილიყო, პირველ წელიწადსავე უცრიდნენ ყვავილის ჩირქს სხეულის ქვემო ნაწილის ოთხს ადგილს. შემდეგ თხის სუფთა ტყავში გახვევდნენ ხოლმე, ბავშვების სხეულის ქვემო ნაწილს და მით ყვავილის მუწუკები დიდი სითბოსა გამო მარტო ძირს ეფინებოდნენ, პირის სახეს და სხეულის ზემო ნაწილებს კი თავისუფლად სტოვებდნენ.—ეხლა მოვიყვანოთ ამავე საშუალებათა ხმარების ისტორიას ბუნებითი ყვავილის აცრისათვის ევროპაში.

ჩერქეზთა ქალებისაგან ხმარებული საშუალებანი კონსტანტინოპოლში გადავიდნენ, სადაც შეისწავლეს ისინი ექიმებმა და შემდეგ აცნობეს ლონდონის სამკურნალო საზოგადოებას. მაგრამ ევროპაში მხოლოდ მაშინ გავცელდა იგი, როცა ინგლისის ელჩის მეუღლემ კონსტანტინეპოლში აიცრა ყვავილი და თავისს ექვსი წლის ვაჟიშვილსაც აუცრა. დედა შვილმა ადვილად მოიხადეს ყვავილი; ოთხი წლის შემდეგ იმის ქალიშვილსაც აუცრეს ყვავილი და ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ინგლისში, მით უფრო, რომ იმ დროს იქ ძალიან მოდებული იყო ყვავილი. კონსტანტინეპოლიდგან მოითხოვეს ლონდონში ყვავილის ჩირქი სამეფო ოჯახობის ასაცრელად, მაგრამ მანამდის მოახდინეს გამოცდილება: პ ველად აუცრეს ყვავილი ე სასიკვდილოთ დასჯილს დამნ ვეს, ამათ თავისუფლად მ ხადეს იგი და პატივებაც მიი შემდეგ ეკკლესიის თავ-შესაფა ობოლ ბავშვებსაც აუცრეს და თაც ადვილად მოიხადეს იგი. ტომ მეფე გიორგი პირველმა დაჰრთო თავისს ბავშვებს და მ ოჯახობასაც, რომ აეცრათ. ი სის სასახლის მაგალითს პირ ლონდონის მაღალ წოდების პ მიჰბაძეს და შემდეგ ევროპ სასახლეებმაც; ამგვარად გავრ იგი საფრანგეთში და გერმანი

სამღვდელოებამ ყვავილთან ლის ახალ საშუალებას დიდი ღმდეგობა გაუწია, რადგან, აზრით, ეს საქმე გამაუპატიურ იყო კაცის სულისა. განსაკუ თავ-გამოდებული იყო კათო სამღვდელოება საფრანგეთში, ვოლტერი იცავდა ყვავილის აღმდეგო საშუალებას.

ხანდისხან შემთხვევით ცუდ დეგი მოჰყვებოდა ხოლმე ამ ლების ხმარებას და რამდენიმე შემთხვევა საკმაო იყო, რომ იმედი დაჰკარგოდა მისი; ბ აცრის მსურველთა რიცხვმა ასე რომ 20 წელიწადში მარ ათასი აცრა მოახდინეს.

1743 წ. იფეთქა ყვავილმა ინგლისში და ხელ-ახლა მიჰ წინანდელს საშუალებას: ლონ დააარსეს ყვავილის ასაცრელ ტიტუტი, სადაც ყველა მსურ ეცრიდნენ; ამ დროს გამოვიდ რანგეთის ექიმის თხზულება,

ბიბლიოთეკა

სადაც მიეგებნენ მოწაფენი მუსიკით. ბოლოს მათი ბრწყინვალება წაბრძანდა გორის პოლკის სადგომში, რომელიც გაშენებულია ქალაქის იქითა განაპირას და დაათვალიერა ჯარები, გაატარა თავის წინ ცერემონიალურ მარშით და დაბრუნდა ისევ თავ. ამილახვრის სახლში, სადაც ინებეს დარჩენა სადილად. სადილმა მხიარულად ჩაიარა. წარმოთქმულ იქმნა მრავალი სადღეგრძელოები. სადილის დროს დროს ატარებინებდნენ გორის პოლკის და 2 თოფის მსროლელ დრუჟინის ორკესტრები და იმერელ ჯარის კაცთა მომღერლები. სადილს შემდეგ მათი ბრწყინვალებანი გამობრძანდნენ აივანზედ და მოისმინეს რამდენიმე იმერული სიმღერა, რითაც ძლიერ ისიამოვნეს. ბოლოს 6 საათზედ ისევ სადგურისაკენ გაემგზავრნენ. რკინის გზის სადგურზედ მოგროვილიყო აუარებელი ხალხი. მათი ბრწყინვალება ჩაბრძანდა ცალკე კუპეში; მატარებელი დაიძრა, დაიყვირა ერთი კიდევ და მის ყვირილს ხალხმა შეუერთა „ვაშა“. მათი ბრწყინვალება ყველას თავს უკრავდა. ბოლოს მატარებელი მიეფარა ხეებს და ამოდენა ხალხი თითქოს გაქვავებულივით იდგა და იქით ეჭირა თვალი, სადაც მატარებელი მიეფარა.

— ერთ კვირაზედ მეტია, რაც საშინელი წვიმებია და ნიავღვრები ჩვენში, რომელიც ძლიერ ავნებს როგორც ჯეჯილს, აგრეთვე ვაზს. „ბევრი მაამო ხარსაც გააგიჟებსო“, ცოტა მარგებელიც არის, აგრე ბევრი ვის გაუგია, ან ვნების მეტს რას მოუტანს; ღმერთმა ნუ ქნას, რომ სულ ეგრე გასტანოს მთელი მაისი, მაშინ სულ პირ-ცარიელები დავრჩებით წლის ბოლოს.

ალ. ალაზნისპირელი.

⁂ **თელავი.** საქველმოქმედო მეჯლიში და მეჯლიშენი. 13 მაისს თელავის სომხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისაგან საეკლესიო სახლების დარბაზში გამართული იყო მეჯლიში. ძალიან ნაკლებად დაესწრო სომხის საზოგადოება. მომეტებულად საქველ-მოქმედო საქმეს ერთი და იგივე წრე ესწრობა სომეხთაგანაც და ქართველთაგანაც, რასაკვირველია, უკანასკნელნი უფრო ბეჯითობენ. სხვანი თავისუფალნი არიან ყოველივე საქველ-მოქმედო გარდასახადისაგან, რის გამოც წლითი-წლობით ერთსა და იმავე ოჯახებზედ სამგრძნობიარო ბეგარას შეადგენს. დღესაც, როგორც ყოველთვის, ევროპიული და ადგილობრივი ცეკვაობა იყო, მაგრამ რამდენადაც ევროპიულ ცეკვაობაში ხელოვნდებიან ჩვენნი-ყრმანი, იმდენად კახური ნაქები ლეკური ავიწყდებათ: დავლური ხომ სულ გადავარდა, აღარავინ თამაშობს. საკვირველია ჭეშმარიტად, რაც ჩვენში მოსაწონი რამ იყო, რასაც ყველანი შურის თვალით უყურებდნენ, რაშიაც სხვები ჩვენ გვბაძავდნენ, იმას ვივიწყებთ; რაც ჩვენში ურიგო იყო, რისთვისაც ჩვენ ყველანი გვძრახავდნენ, რისთვისაც ჩვენ სხვებს თავს ვაძულებდით, სწორედ ის შევინარჩუნეთ და რაც-კი შეიძლებოდა გავავრცელეთ. სხვათა შორის კახური ცეკვაობა—ლეკური და დავლური—ყველასაგან ნაქებ ხელოვნებად ითვლებოდა და ითვლება, უცხოელთ ისწავლეს და თვის ქვეყანაში გადიტანეს; ჩვენ-კი ლეკურს თავი და ბოლო მოვაკვეცეთ, ყოველივე ღირსება ჩამოვაცალეთ და დავამგზავსეთ რაღაცა უგემურს და უაზრო ცეკვასა. დავლური, ეს დარბაისელთა საცეკვაო, ხომ სულ გაიდევნა მეჯლიშებიდამ. მართალია, ჩვენში არიან იმისთანა განათლებულები რომლებიც ამბობენ „ევროპიელი საუკეთესოდ განვითარებული კაცია, იგი უნდა მაგალითად მყავდეს და მას ვბაძავდე, უნდა ვეცადო ყოველივე ზნე-ჩვეულება ჩემი დავივიწყო, როგორც ზნე-ჩვეულება განუვითარებული ხალხისა და რაც ადრე დავემგზავსები ევროპიელსა, ის ემჯობინება“, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ ეს განათლებულები და მათი მიმდევარნი მარტო კარგს ივიწყებენ თავის ზნე-ჩვეულობიდამ და რაც ცუდი სჭირთ ერთი ათად ასარგებლებენ, ამასთან ევროპიელებიდამაც იძენენ ტანისამოსისათვის მარტო ქალალდის ანდაზას, რომ გარეგნობით სრულ ჰყონ მგზავსება ევროპიელისა, შინაარსით-კი ემგზავსებიან ყველას, გარდა ევროპიელისა, და რად უჯერით მათ? არა სჯობია, რაც კი რამ კარგი გვაბადია, შევინახოთ, გაუფთხილდეთ და ვეცადნეთ ავი მოვიცილოთ თავიდამ? დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ზემორე აღნიშნულ განათლებულთა აზრის მიმდევართ რაფ. ერისთავის „ყადის ჯორობა“ არ ასცდებათ, რაც დიდად სამწუხაროა და სავაგლახო.

ნადიკვრელი.

⁂ **რაჭა.** უბედურება ნიაღვრებისაგან. ამ თვის 4-ს ხოტევიდან ამბროლაურამდე სოფლებში იყო საშინელი წვიმები და ნიაღვრები, რომლებმაც დიდი ზიანი მისცა მცხოვრებთ. სხვა ზარალს გარდა მან დაარჩო გზაზე ხოტევში ლევან გოცირიძე. ამბობენ, ამას გარდა კიდევ არიან დამხრჩვალნი სხვა სოფლებშიაცაო.

⁂ **ს. ყარაქლისი.** (გუმბრის მაზრა). შემოწირულება ეკლესიისათვის. ამ დრომდის ჩვენ, აქ მცხოვრებნი მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი, ვიყავით დანატრულებულნი: ეკლესიას, ზიარებას და, რასაკვირველია, მღვდელსაც. ახლა-კი ყ. რ. გ. შემწეობით ვეღირსენით ჯერ ხომ მღვდელს და მერმე ეკლესიას, რომელიც ჯერ-ჯერობით იმყოფება უზაროდ, თუმცა-კი ეკლესიას სხვაც ბევრი რამ ნაკლებულება აქვს, მაგრამ დროებითი ბოქაულის ვლ. შ—ვის მეტის-მეტი მეცადინეობით და მღვდ. მიხ. ყარიბოვის დახმარებით იშოვება ეკლესიისთვის დაქირავებული სახლი (Молитвенный домъ). ეხლაც დიდად ცდილობენ: ბ. ვლ. შ—ვი და ქ. იაკშიჩისა ფულის შეკრებას, რომელთაცა ჰსურთ შეკრებილი ფულით ეკლესია შეამკონ, ესე იგი იყიდონ ზარები და ბარძიმ-ფეშხუმი.

გარდა ამისა, დიდს მადლობას უცხადებთ, აქაურს მოსამსახურეებს და საწყალს მუშა ბერძნებს ვინც-კი რა გაიმეტა და ახალს ეკლესიას შესწირეს ან ფულად, ან საეკლესიო ხატებით და სხვა საჭირო ნივთებით.

დ. შიუკოვი.

ქალაქის არჩევანები.

გუშინ-წინ, თვრამეტ მაისს, «ტფილისის საკრებულოს» საზაფხულო სადგომში ქალაქის ხმოსანთა არჩევანები მოხდა. თავმჯდომარემ ბ. ა. ა. ივანენკომ კრება გახსნა დილის 9 საათზე. ამ დროს იქ იყვნენ 250-მდე ამომრჩეველი; შემდეგ, შუადღისას, 800 კაცამდე ამომრჩეველთ მოიყარეს თავი. პირდაპირ კენჭის ყრა დაიწყეს და არავითარი კამათი არ ყოფილა. სულ ას-ოთხმოცი ყუთი დასდგეს სახმოსნო კანდიდატებისა. თუმცა თავმჯდომარემ გამოაცხადა, ვისა გსურთ კიდევ კენჭი იყაროთ ხმოსნობაზეო მაგრამ ახალი აღარავინ აღმოჩნდა.

კენჭების თვლა გაათავეს ნაშუადღევის $1^{1}/_{2}$ საათზე და შემდეგი პირნი იქმნენ არჩეულნი:

		თეთრი შავი
1.	მ. ზ. ავთანდილოვი	(616—438)
2.	ს. ი. ანანოვი	(571—482)
3.	ი. მ. ალიხანოვი	(561—497)
4.	ი. ს. ალიხანოვი	(629—425)
5.	კ. მ. ალიხანოვი	(662—397)
6.	თ. ა. მ. არღუთინსკი	(745—311)
7.	თ. ნ. იაგ. არღუთინსკი	(633—425)
8.	თ. ნ. ვ. არღუთინსკი	(745—309)
9.	თ. პ. მ. არღუთინსკი	(671—389)
10.	ლ. პ. ბილფელტი	(564—496)
11.	ვეტცელი	(606—454)
12.	ხრ. ა. ვერმიშევი	(636—430)
13.	ე. ფ. ბურგარდტი	(688—368)
14.	თ. ა. ი. ბებუთოვი	(649—411)
15.	კ. ც. ბუტკევიჩი	(605—455)
16.	უგ. თ.მ.ა.გრუზინსკი	(643—416)
17.	უ.თ.პ.ა.გრუზინსკი	(638—423)
18.	მ. ი. დოლუხანოვი	(608—452)
19.	ა. ა. ივანენკო	(613—446)
20.	გ. იაგ. ევანგულოვი	(635—426)
21.	ა. გ. ირიცფუხოვი	(681—382)
22.	ა. ა. იონისიანი	(605—457)
23.	ნ. ი. კარაპეტოვი	(532—528)
24.	ვ. რ. ყიფიანი	(557—511)

ლშიაც იგი ამტკიცებდა აცრის სარგებლობას და ამით კიდევ გავრცელდა ხალხში იმედი ყვავილის ჩირქით აცრის სარგებლობისა. იტალიაში, შვეციაში, დანიაში, ინგლისში და საფრანგეთში აარსებდნენ ყვავილის ასაცრელ შენობებს და აცრასაც სასურველი შედეგი ჰქონდა ხოლმე. ცოტაოდენი წინააღმდეგობა გაუწიეს აცრის საქმეს გერმანიაში თავადებმა, ჰერცოგებმა და ზოგიერთმა შესანიშნავმა ექიმებმაც.

დიდხანს არ გაგრძელებულა მეორე გატაცება აცრისაგან; აცრის საქმე ხელში ჩაიგდეს მრავალმა გარყვნილმა პირებმა, რომელნიც უწმინდურის იარაღით და ცუდათაც უცრიდნენ; ყოველსავე ამას, რა თქმა უნდა, უმეტეს ნაწილად სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა ხოლმე აცრილთათვის; ამიტომაც ხელახლად მოიკიდა ხალხში ფეხი უიმედობამ. ამ დროს ექიმებმა ჰატტიმ და სუტტონმა თავისი თხზულებებით შეაჩერეს ხალხში იმედი აცრის სარგებლობისა, მაგრამ XVIII საუკ. მაინც ისევ სასოწარკვეთილებით დაბოლოვდა ყოველივე ეს: გავრცელდენ ხმები, რომ თვითონ ყვავილის ასაცრელი შენობებიდგან ვრცელდება ეს სენი. სტატისტიკამ აღმოაჩინა, რომ მარტო ლონდონში პირველ ორმოც წელიწადში აცრის შემოღების შემდეგ 24,000 კაცი მოკვდა ყვავილით, ვიდრე მანამდის ამავე ხნის განმავლობაში.

ამ გვარად ევროპაში ყვავილის ნებაყოფლობითი გადადების საქმემ ოთხმოც წელიწადს გასტანა და კარგი გავლენაც იქონია: ყველა შეურიგდა იმ აზრს, რომ ხელოვნურად გადადებული ყვავილი უფრო ადვილად მოსახველია, ვიდრე ბუნებრივი, და გადადებული ყვავილი იცავს კაცს მეორედ ავადმყოფობისაგან, როგორც მოხდილი ბუნებრივი.

კაცობრიობამ განაგრძო საუკეთესო საშუალებათა ძებნა ყვავილთან საბრძოლველად, რადგან ზემო აღწერილნი საშუალებანი საკმაოდ ვერ აკმაყოფილებდნენ მას. ამ ცდილობამ კიდეც გამოიღო ნაყოფი. თოთხმეტ მაისს, 1796 წელს, როდესაც ედუარდ ჯენნერმა პირველად სცადა ძროხის ყვავილის აცრა და ამგვარად მოახდინა თავისი დიდებული აღმოჩენა.

შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ვითომც ძროხის ყვავილის აცრის ვარგისობა პირველად ჯენნერს *) მოუვიდა აზრად და არავითარი წინამორბედი არა ჰყოლია მას ამ საქმეში.

როგორც მეცნიერების გამოკვლევანი გვიჩვენებენ, უძველეს დროში იცოდნენ ძროხის ყვავილი და მისი დამცველი თვისება, გარდა ძველი დროებისა, 1774 წელს ინგლისში ჯერატლიმ აუცრა ძროხის ყვავილი თავისს ცოლ-შვილს, რასაც კარგი შედეგი მოჰყვა. ასეთივე მაგალითი აცრისა იყო საფრანგეთში და სხვა ადგილებშიაც. ჯენნერის ბიოგრაფიაში მოყვანილია შემდეგი გარემოება: ერთხელ მის მასწავლებელ ლუდლოვთან მოვიდა ერთი ავადმყოფი გლეხის ქალი, რომელსაც ლუდლოვმა ბუნებრივი ყვავილი შეამჩნია. ამაზე ქალმა უარი განაცხადა და სთქვა: ჯერ შემთხვევა არ ყოფილა, რომ ვისმე ძროხის ყვავილი გადასდებოდეს და მერე ისევ ბუნებრივი ყვავილითაც გამხდარიყოს ავადაო.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯენნერის სამსახური მაინც დაუფასებელი იქნება. იმან პირველად შეჰკრიბა ყველა განცალკევებული დაკვირვებანი, ის მარტო უბრალო რწმენით არ დასჯერდა ძროხის ყვავილის დამცველ ძალას და 30 წელიწადი მოანდომა მისს ყოველ მხრივ შესწავლას. თავისი დაკვირვება-მოსაზრებანი ჯენნერმა დიდებულად დაამთავრა, როგორც ზემოთ ვთქვით, 14 მაისს 1796 წ.

ჯენნერის სამსახური კიდევ მითია დაუვიწყარი, რომ მან გენიოსურის მედგრობით დასძლია ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც მას შეხვდნენ თავისის მოძღვრების გავრცელებაში.

დაბრკოლებანი-კი ბევრნი იყვნენ. 1798 წელს ედუარდ-ჯენნერმა გამოსცა კლასიკური თხზულება: „ძროხის ყვავილის მიზეზების და მოქმედებათა გამოკვლევა“. ამ თხზულებაში იმას მოჰყავს ყველა ის დასკვნები, რომელნიც იმან 30 წლის დაკვირვებით გამოიყვანა. ჯენნერის წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისში. ბევრნი უკმაყოფილობას გრძნობდენ, რომ ვიღაც, იმათის აზრით, უბრალო სოფლის ექიმი ცდილობდა კაცობრიობის გაბედნიერებას. დაუწყეს მას დევნა-დაცინვა და ვინ იცის, რამდენი ცილის წამება, მიუხედავად ამისა, მალე ბევრი ექიმები გადავიდნენ იმის მხარეზე და ლონდონში გახსნეს ინსტიტუტი ჯენნერის სახელ წოდებით ყვავილის მოსასპობად, სადაც თვითონ ის პრეზიდენტად ამოირჩიეს.

როგორც იყო, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ჯენნერის საქმემ მაინც გაიმარჯვა. 1800 წ. ძროხის ყვავილის აცრა სავალდებულოდ გახადეს ინგლისში და აგრეთვე ჩრდილო-ამერიკაში. ამის შემდეგ ძროხის ყვავილის აცრა საყოველთაოდ გავრცელდა ევროპაში და მის გარეშე ქვეყნებშიაც.

ამ გარემოებამ ისეთი ნაყოფი გამოიღო, რასაც ოცნებითაც ვერ წარმოიდგენდნენ: რამოდენიმე წელიწადში ყვავილი სრულიად მოისპო ევროპაში, ცალკე სნეულებასაც ისე საშიში ხასიათი აღარა ჰქონდა. რომელი სტატისტიკაც უნდა ავიღოთ, ყველა დაგვარწმუნებს ამისს სინამდვილეში. რამოდენიმე თვეში ყვავილით მოკვდა პარიზში 1793 წელს 13.350 კაცი. გერმანიის აღმოსავლეთ და ჩრდილო პროვინციებში, სამ წელიწადში—1794—1796 წ.—მოკვდა 200,000 კაცი; ლონდონში 1796 წ.—3,549 კაცი, ხოლო როცა ახალის საშუალებით აცრა გავრცელდა, სიკვდილის რიცხვმა თვალსაჩინოდ იკლო ევროპის ყველა განათლებულს ქვეყნებში. დამახინჯება ყვავილისაგან, დაბრმავება და სხვა კიდევ იშვიათი მოვლენაა, წინანდელთან შედარებით.

ჯენნერის საქმე მაინც სრულიად არ გათავებულა. დრომ და გამოცდილებამ შეიტანა ყვავილის აცრაში თვალ-საჩინო გაუმჯობესება.

ჯენნერი იმ რწმენით გარდაიცვალა, რომ ერთხელ აცრილი ძროხის ყვავილი, ან მოხდილი ბუნებითი ყვავილი იფარავენ კაცს მეორედ დასნეულებისაგან. მაგრამ მიმდინარე საუკუნის მე-30-ე წლებში გამოაშკარავდა, რომ ისეთი პირები, რომელთაც წინად კარგათ ჰქონდათ აცრილი ძროხის ყვავილი, ხელახლა ავათ ხდებოდნენ. ამ გარემოებამ გამოიწვია ისევ წინააღმდეგობა, რომელმაც ერთის მხრით ის სარგებლობა მოიტანა, რომ ყველამ საჭიროდ სცნო განმეორებით აცრა ძროხის ყვავილისა, რადგან გამოჩნდა ძალა ძროხის ყვავილისა, რომ თან-და-თან იკლებდა და ბოლოს სულ იკარგებოდა; ამგვარად დაადგინეს, რომ ყოველი ათი წლის შემდეგ განმეორებული იყო ძროხის ყვავილის აცრა. სარგებლობა თვალ-საჩინო გახდა მას შემდეგ, რაც იგი გამოსცადეს ევროპის სხვა-და-სხვა ადგილებში.

აი, ამნაირად, განათლებულმა ქვეყნებმა ჯენნერის გენიოსურის შრომის წყალობით დაამარცხეს თავისი დაუძინებელი მტერი—ყვავილი.

სეეთი.

---

*) ედუარდ-ჯენნერი დაიბადა 17 მაისს, 1749წ. იმას მშობლები მალე დაეხოცა და ბავშობაში უფროსი ძმის მხედველობის ქვეშ იყო. 8 წლის ჯენნერი სამრევლო შკოლაში შევიდა და იმის შემდეგ გამოცდილი ექიმის ლუდლოვის ხელმძღვანელობით დაიწყო სამკურნალო მეცნიერების შესწავლა. 20 წლის ჯენნერი ინგლისში გადასახლდა და იქაურ ბუნების მეტყველებაში დიდი სახელი დაიმსახურა თავისის მხნე მეცადინეობით სამკურნალო მეცნიერებაში და ბუნების მეცნიერებაში. დანარჩენი დრო ჯენნერმა თავისს დიდებულ გამოგონებას მოანდომა და მოწინააღმდეგეთა ბრძოლაში გაატარა. იმან თავის სიცოცხლეშივე დაინახა თავისი საქმის გამარჯვება და ევროპის ყველა ხალხიდან მადლობის ნიშნები მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. დ. ზ. ყორღანოვი (584—467)
26. ვ. დ. ყორღანოვი (540—524)
27. ი. ს. ყორღანოვი (590—481)
28. გ. ა. ქუჩარიანცი (536—532)
29. ა. ა. ქალანთარი (585—478)
30. მ. ვ. ლუნკევიჩი (625—439)
31. იაკ. ი. მალინინი (703—354)
32. ი. ი. მღებროვი (616—443)
33. ი. გ. მელიქოვი (532—530)
34. გ. ა. მელიქ-ბეგლიაროვი (556—506)
35. თ. დ. ზ. მელიქოვი (589—470)
36. თ. გ. ი. ჯ.-ორბელიანი (554—508)
37. ნ. ნ. ოსტროგორსკი (552—513)
38. ა. თ. ფრიდონოვი (672—381)
39. პ. ა. ოპოჩინინი (692—368)
40. კ ნ. რეიტერი (871—191)
41. თ. ი. მ. ჯ.-ორბელიანი (573—488)
42. გ ზ. იარალოვი (589—469)
43. ნ. ს. ფრიდონოვი (610—453)
44. ი. ა. თაიროვი (564—499)
45. მ. ი. თამამშევი (711—350)
46. პ. მ. იაკიმოვი (536—519)
47. თავ. გ. მ. თუმანოვი (670—387)
48. ლ. თ. ტიგრანოვი (537—521)
49. ი. დ. უთნელოვი (601—457)
50. ნ. ა. ხუდადოვი (608—451)
51. ი. ი. წოვიანოვი (649—411)
52. მ. ს. შახ-პარონიანცი (621—439)
53. ა. ი. წურინოვი (567—492)
54. ა. ი. შახ-აზიზოვი (729—335)
55. თ. ა. ზ. ჩოლ.-ყაშვილი (589—475)
56. ა. პ. შიმკევიჩი (555—505)
57. ტ. ა. ენფიანჯიანცი (638—420)

საზოგადოდ არჩევანებმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ ორიოდე ხიფათს მაინც ვერ ასცდნენ:

1) როდესაც თავ. არღუთინსკის ყუთში კენჭები დასთვალეს და თავმჯდომარეს „იარლიკი“ გარდასცეს, მან გამოაცხადა: „თავ ნ.ვ. არღუთინსკის თეთრი აქვს 795 და შავი 309 კენჭი“, ე. ი. სულ 1104 კენჭი, მაშინ, როდესაც ამომრჩეველთ რიცხვი არ უნდა აღმატებოდა 1060 სა. ეს გაიკვირვეს და როდესაც თავმჯდომარეს შენიშნეს, მან მიჰმართა მდივანს ბ. ჰრელაშვილს შემდეგის სიტყვებით: „ბ. მდივანო, გთხოვთ კენჭების რიცხვი სწორედ აღნიშნოთ!

— მე არ დამიწერია, ბ. თავმჯდომარევ, ეგ „იარლიკი“.

— მაშ გთხოვთ, თვალი ადევნოთ, რომ სხვებმაც სწორედ ჩასწერონ ხოლმე.

— ბ. ქალაქის მოურავო, მე თქვენა გთხოვთ უფრო ბეჯითად წაიკითხოთ ხოლმე, რასაც დაწერილს მოგართმევენ — მანდ სწერია 745 თეთრი კენჭი და არა 795

— ბ. მდივანო, გთხოვთ თქვენი მოვალეობა შეასრულოთ, ან კრებას თავი დაანებოთ.

— ბ. მოურავო, მე მაშინ დავანებებ თავს კრებას, როდესაც თქვენც წაბრძანდებით აქედამ.

— თავმჯდომარის უფლებით მე თქვენ გითხოვთ აქედამ.

— მე არ ვემორჩილები თქვენს განკარგულებას; არა გაქვთ უფლება ეგრე უმართებულოდ მომეპყრათ.

— ხელ-მეორედ გთხოვთ ვაბრძანდეთ აქედამ.

— მე დავემორჩილებით, მაგრამ თქვენს განკარგულებას განვასაჩივრებ..

ადგა ბ. ჰრელაშვილი ამ სიტყვებზე და გარეთ გავიდა.

კრებაში დიდი ჩოჩქოლი და აყალმაყალი ასტყდა.

2) როდესაც ამომრჩეველი ბ. კოსცინსკი ყუთებში კენჭებსა ჰყრიდა, მან შენიშნა, რომ კანდიდატის საზგნევსკის შავს ყუთში კენჭები არ მიდიოდა და რამოდენიმე კენჭს ყუთის ყელში მოეყარა თავი. ეგ ამბავი ბ. კოსცინსკიმ გამოუცხადა თავმჯდომარეს და მდივანს ხმა-მაღლად და დასამტკიცებლად შავი ყუთის ყელიდამ ამოიღო რამოდენიმე კენჭი (??) და იმავე კანდიდატის თეთრს ყუთში ჩაჰყარა.

3) როდესაც ვ. რ. ყიფიანის ყუთში კენჭებს ითვლიდნენ, რაღაც შეცდომა მოუვიდათ თეთრი კენჭების თვლაში, ზოგნი ამბობდნენ—457 თეთრი არისო და ზოგნიც 557 არისო; მაგრამ ეს შეცდომა ბ. ყიფიანის სასარგებლოდ გადასწყვიტეს ასისტენტებმა და გამოაცხადეს—თეთრი 557 იყო და შავი 511 კენჭიო. ამაზედ ბ. ყიფიანმა განაცხადა, რომ, რა-კი შეცდომა მოხდა, გთხოვთ გაშავებულ კანდიდატთა სიაში აღმნიშნოთ, მე არა მსურს ვისარგებლო ბ. ასისტენტების შეცდომითაო.

თავმჯდომარემ არ შეიწყნარა ეს თხოვნა და ბ. ყიფიანი ამორჩეულთა სიაში დასტოვეს.

ახირებული შემთხვევა იყო, რომ არცერთს ყუთში არ აღმოჩნდა თანასწორი რიცხვი კენჭებისა,—ზოგში მეტი იყო და ზოგში ნაკლები!..

კრება დაიშალა ნაშუაღამევის $2\frac{1}{2}$ საათზე. რადგან საკმაო რიცხვი ხმოსნებისა ჯერ არ არის არჩეული, ამის გამო დამატებითი არჩევანები მალე დაინიშნება.

სასარგებლო ცნობა.

—

ლექცია პროფესსორის შეპელევიჩისა პოლონელ მწერლის გენრიხ სენკევიჩის შესახებ.

აპრილის უკანასკნელ რიცხვებში აქ წაიკითხა პროფ. შეპელევიჩმა საზოგადო ლექცია გენრიხ სენკევიჩზედ, ამ რომანისტის 25 წლის ლიტერატურული მოღვაწეობის გამო. მოგვყავს მოკლე შინაარსი ამ ლექციისა, რომლის შემოსავალი გადიდვა ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ. ლექტორმა, მოახსენა-რა საზოგადოებას, რომ წელს პოლონიის ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები დღესასწაულობენ გენრიხ სენკევიჩის იუბილეის და მომავალ წელში-კი მეასე წლიწადს მიცკევიჩის დაბადების დღისას,—მოკლედ დაახასიათა უკანასკნელის მოღვაწეობა და შეადარა მისი უკუღმართი ბედი იმ გამარჯვებას და ბედ-იღბალს, რომელიც ერგო წილად სენკევიჩს.

შემდეგ ბ. შეპელევიჩმა გვიჩვენა, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა სენკევიჩს კრაშევსკისთან და ბალზაკთან და შენიშნა უკანასკნელის გავლენა პოლონელ რომანისტზედ. ლექტორმა შეეხედა სენკევიჩის ნაწარმოების განსხვავებულ ხასიათს, მიგვითითა მისი სიუჟეტების კლასიფიკაციის ძირითად პრინციპებზედ და დაგვიხასიათა მაგალითების მოყვანით მარტივი და რთული ტიპები რომანისტისა. სენკევიჩის უმრავლეს ნაწარმოებში ხედავს უნუგეშო ხელოვნებითი (художественный) პესიმიზმს, როგორც, მაგალითად, შექსპირის ზოგიერთ თხზულებებში. უმაღლეს წერტილად სენკევიჩის პესიმიზმისა ჩაითვლები დრამა „На одну карту“ და რომანი „Безъ Догмата“ ო. უმთავრესი ყურადღება ბ. შეპელევიჩმა მიაქცია იოზვოვიჩის (დრამის გმირი) და პლოშოვსკის (რომანის გმირი) დახასიათებას. ლექტორის აზრით, ხელოვნებითი პესიმიზმს „Безъ Догмата“ ს შემდეგ არ შეეძლო უკეთესად, უმეტესად განვითარება და წინ-სვლა. სენკევიჩს რომ არ შეეცვალა სიუჟეტები თავისი თხზულებებისა და არ მოეკიდა ხელი ისტორიული სიუჟეტებისთვის, რომლების საშუალებით ის გაეცნო საზოგადოების ფსიხოლოგიის მეორე მხარეს და დაადგა უფრო სწორ შეხედულობის გზას,—შესაძლებელი იქმნებოდა მის თხზულებებში ყოფილიყო ერთი და იგივესი განმეორება, რის გამოც უსათუოდ დიდად დამცირდებოდა მისი ნაწარმოებიო. შედეგათ ამ გამოცვლისა, ამ გადაბრუნებისა შეიქმნა „Семья Полонецкихъ“, სადაც ავტორი სდგას თავის მოწოდების უმაღლეს წერტილზედ. ბ. შეპელევიჩმა, ახსნა რა ყოველივე თვისებები ამ რომანისა, გაგვაცნო მისი (რომანის) ორივე სქესის უმთავრესი ტიპები და მათი ურთიერთ შორის დამოკიდებულება. მერე შეადარა „Семья Полонецкихъ“ ბურჟეს „კოსმოპოლის“-ს და აგვიხსნა, რომ თუმცა ერთნაირი კილო აქვთ ამ ორ თხზულებებს, მაგრამ სულ სხვა-და-სხვა შთაბეჭდილებას ღებულობს ადამიანი მათი წაკითხვისაგან. ლექტორის აზრით, „Семья Полонецкихъ“-ს ძირითად აზრს შეადგენს იდეია შებრალებისა (идея снисхожденія); «კოსმოპოლისში» კი არის იდეია ნაცვალ გებისა (идея возмездія).

რომ უფრო საფუძვლიანად დაეხასიათებია, თუ რა მიმართულებისა და რა თვალით უყურებს ქვეყნიერობას სენკევიჩი, ბ. შეპელევიჩმა გააცნო საზოგადოებას ამ რომანისტის თეორიული მოსაზრებანი და შეხედულებანი საზოგადოდ მწერლის მოვალეობაზედ და მიმართულებაზედ. (აქ დაასახელა სენკევიჩის წერილი „დოქტორ პასკალის“ შესახებ). დასასრულ ლექტორმა ის აზრი გამოსთქვა, რომ სენკევიჩი თავისის თხზულებებით უახლოვდება რუსეთის საუკეთესო რომანისტებს და განსხვავდება ევროპიელებისაგან, და ამასთან გვიჩვენა, თუ რა სულიერი ნათესაობა და ერთობა არსებობს ამ პოლონელ რომანისტსა და რუსეთის საუკეთესო რომანისტთა და პოეტთა შორის.

საღამოს დეპეშა

19 მაისი.

(მიღებულია ღამის 11 საათზედ).

პეტერბურგი. 18 მაისს, პეტერგოფში, მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატრიცას აგარაკ „ალექსანდრიას“ ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ხოდინის ველზედ მომხდარ უბედურების დროს გარდაცვლილთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა: აკრძალულ იქმნას გაზეთის „სიბირსკი ვესტნიკის“ გამოცემა 8 თვით.

მოსკოვი. 18 მაისს გარდახდილ იქმნა პანაშვიდი ხოდინის ველზედ მომხდარ უბედურების დროს გარდაცვლილთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითურთ, მრავალი დიდ-კაცობა და დიდ-ძალი ხალხი. „საუკუნოდ იყოს“ და „განუსვენე ქრისტე ღმერთოს“, რომ გალობდნენ, მათმა უმაღლესობამ დამსწრე ხალხმა მუხლი მოიყარეს.

სტამბოლი. ელჩებმა განაცხადეს, რომ ოსმალეთის მიერ გამოცხადებულ პირობათა წინააღმდეგნი არ ვართ და ათინაში ვეცდებით მორიგებისათვისაო.

პარიჟი. საბერძნეთი უარზე არა სდგან მოურიგდეს დოებით ოსმალეთს იმ პირობით, რომელიც მან განაცხადა და იმ ვადით, რომელიც საჭირო იქმნება ზავის პირობების გამოსარკვევად.

ქრისტიანია. ქალაქი ნამსონი ერთიანად გადიბუგა.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისის გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

განცხადებანი

Учебникъ
ГРУЗИНСКАГО ЯЗЫКА
для русскихъ,
сост. М. Насидзе.
Цѣна 50 к.
Продается въ Центральной книжно
торговлѣ въ Тифлисѣ и въ кн. мага
„Общества распостр. грам.“.
(10—7)

ტფილისისა და ყარსის რკინიგზის სამუშაოთა მმართველობა ამი აცხადებს, რომ 1-ლ თიბათვე ამა წლისას, დილის 12 საათზე, მისს სადგურში, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში, რტიშჩევის ქუჩაზე, № 26, დანიშნულია ვაჭრობა: იჯარით გაიცემა მოზიდვა კირისა (ПУШОНка), რომელიც საჭიროა ა გზისთვის, 500,000—600,000 ფუთამდე.

კირი უნდა მოტანილ იქმნას შემდეგს სადგურებში:

I ნაწილისა: ნავთლუღში—მე-7 ვერსი, სადახლოში—მე-62 ვერსი—50,000 ფუთი კირი.

II ნაწილისა: ახტალაში მე-86 ვერსი, სანაინში მე-104 ვერსი, ყალაგერანში მე-119 ვერსი—113,500 ფუთი.

III ნაწილისა: შაგალიში, ყარაქლისში, ამამლიში, ახბულაღში ანუ ჯადასურში—110,000 ფუთი.

IV ნაწილისა: ალექსანდრეპოლში—110,000 ფუთი.
V „ ყარსში—160,000 ფუთი.

კირი შეიძლება ჩაჰბარდეს ადგილზე არა ნაკლებ 50,000 ფუთისა ერთხელად. კირის მოტანა იჯარადარმა უნდა დაიწყო იმ დღიდგანვე, როცა პირობი წერილი დაიწერება და უნდა გათავდეს არა უგვიანეს 1897 წ. 1-ლ სექტემბრისა.

წინადადებანი ფასების გამოცხადებით და ღერბის მარკის დაკვრით უნდა წარიდგინონ სამუშაოთა მმართველობაში დახურულ პაკეტით ზემოდ აღნიშნულ ვადამდე. განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოს მსურველმა კირის ნიმუშიც.

იმ პირმა, რომელსაც იჯარა დაჰრჩება, უნდა შემოიტანოს პირველადვე 5 პროცენტი გირაოსი. გირაო შემდეგ შეივსება იმ წესით, რომ ყოველს ფულის მიცემაზე იჯარადარს დაუჭერენ 10% მისაღებ ფულისას, ვიდრე სრული გირაო შეთავდებოდეს.

დაწვრილებითი პირობები მსურველს შეუძლიან შეიტყოს въ хозяйственномъ отдѣлѣ управленія работъ დილის 9 საათიდგან 12-მდე ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა. (3—3)

Дозволено цензурою· Тифлисъ, 19Мая 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ· ხაკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.